ISSN 1512-1801

„ერთიანი სასწავლო პროგრამა“ საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლებისთვის

[1]კატერინი კუპატაძიდუ, [2]ნინო ყულოშვილი
[1]დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის,
პროგრამების დეპარტამენტის სპეციალისტი
[2]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ჟურნალისტიკა) დოქტორანტი
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის,
პროგრამების დეპარტამენტის კონსულტანტი

ანოტაცია

2010 წლის 18 მარტს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, მირზა (პაპუნა) დავითაიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა ხელი მოაწერეს გრძანებას, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის „ერთიანი სასწავლო პროგრამის“ შემუშავებასა და წარდგენას ითვალისწინებდა.

2011 წლის ოქტომბერში კი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, მირზა (პაპუნა) დავითაიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა უცხოეთში არსებული საკვირაო სკოლებისთვის შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ოფიციალურად წარადგინეს.

აქამდე საკვირაო სკოლებს არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა და მეთოდური მითითებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ მომზადებული პროგრამები დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და, იმავდროულად, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო გარემო.

სახელმწიფო პროგრამის განვითარების მიზნით, გრძელდება მუშაობა საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების ერთიან სასწავლო სივრცეში ჩართვის მიზნით; სამომავლოდ განიხილება საკვირაო სკოლების პედაგოგებისთვის პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება, ასევე საკვირაო სკოლის ხელმძღვანელების მონაწილეობით ფორუმის გამართვა და სხვ. ეროვნული საქმისთვის სასარგებლო ინიციატივა.

ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისას მკვლევარები, ძირითადად, განიხილავენ პოლიტიკურ-სამართლებრივ ფაქტორს. სამშობლო არის სივრცე, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს არსებული სახელმწიფოს სუვერენიტეტი: კონსტიტუცია და სხვადასხვა ტიპის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საერთო და სავალდებულოა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც საქართველოს მოქალაქე არის. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სამართლებრივად აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა

ISSN 1512-1801

ქვეყანაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებს და მათ სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს (ორმაგი მოქალაქეობისა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის სტატუსის განსაზღვრის საკითხი), ენობრივი, ისტორიულ-გეოგრაფიული მახსოვრობის თვალსაზრისით გაერთიანება (საკვირაო სკოლების თემა), რელიგიური ფაქტორი.

E2010 წლის 18 მარტს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, მირზა (პაპუნა) დავითაიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა ხელი მოაწერეს ბრძანებას, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის „ერთიანი სასწავლო პროგრამის“ შემუშავებასა და წარდგენას ითვალისწინებდა.

მინისტრებმა განაცხადეს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის შეიქმნება ერთიანი სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საქართველოში მოქმედ სკოლებთან, რათა საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ადვილად მოხდეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მათი ინტეგრირება. საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის „ერთიანი სასწავლო პროგრამის“ შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა უცხოეთში საკუთარი ენა და თვითმყოფადობა შეინარჩუნონ.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის მომზადებისათვის.

პირველ ეტაპზე „ერთიანი სასწავლო პროგრამით“ მომზადდა სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავდა სამი საგნისთვის: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია.

მეორე ეტაპზე სასწავლო გეგმის ავტორებმა გაკვეთილების სახით მოამზადეს საორიენტაციო ტრენინგების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, რომელიც გულისხმობს (პედაგოგებისთვის დამხმარე მასალა) სასწავლო პროგრამის პრეზენტაციასა და სასწავლო გეგმაში არსებული ერთი გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების მაგალითს.

მიმდინარე წლის ოქტომბერში კი, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, მირზა (პაპუნა) დავითაიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა უცხოეთში არსებული საკვირაო სკოლებისთვის შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ოფიციალურად წარადგინეს.

სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს გეოგრაფიასა და საქართველოს ისტორიაში ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის არის განკუთვნილი, რომელთაც ახლავს მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული მოსწავლეებისთვის. ქართული ენისა და ლიტერატურის I საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია 6-დან 8 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, II საფეხურისა კი - 8-დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, ხოლო საქართველოს გეოგრაფიისა და და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები - 8-10 და 10-12 წლის მოსწავლეებისთვის.

ISSN 1512-1801

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორები არიან: ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე.
საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელობი სხვადასხვა სახელწოდებით მომზადდა – „მოგზაურობა საქართველოში“ (I ნაწილი) და „წერილები საქართველოდან“ (II ნაწილი). სახელმძღვანელოები და მოსწავლის რვეული მოამზადეს: ელდარ არაბულმა, ირმა ტალახაძემ, დავით ბერძენიშვილმა და რუსუდან კვიკვინიამ; მასწავლებლის წიგნი კი, ნოდარ ელიზბარაშვილმა და ლია შალვაშვილმა.
საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, სავარჯიშოების დანართი და მასწავლებლის წიგნი ნოდარ ელიზბარაშვილისა და ლია შალვაშვილის ავტორობით მომზადდა.
სახელმძღვანელოები ეხმიანება ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნული კურსი მოზარდს უვითარებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.
აქამდე საკვირაო სკოლებს არ ჰქონდათ ერთიანი პროგრამა და მეთოდური მითითებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ მომზადებული პროგრამები დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და, იმავდროულად, გათვალისწინებულია საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო გარემო.
ელექტრონული სახელმძღვანელოები განთავსებულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე www.diaspora.gov.ge. ამ რესურსით სარგებლობა ყველა საკვირაო სკოლას შეუძლია და, ვფიქრობთ, ხელმისაწვდომიცაა.

შეფასებები:

„ერთიანი სასწავლო პროგრამის“ მომზადებაში დიასპორის წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობენ, ამიტომ დავინტერესდით თუ როგორ აფასებენ საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების ხელმძღვანელები, მასწავლებლები და მშობლები „ერთიანი სასწავლო პროგრამით“ მომზადებულ ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. პროექტის სწორი მიმართულებით განვითარების მიზნით, საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად, ინფორმაციის პარალელურად, მსოფლიოს 25 ქვეყნის, დაახლოებით, 50 ქართულ საკვირაო სკოლას გაეგზავნა რამდენიმე კითხვა:

- **სარგებლობთ თუ არა ახალი სახელმძღვანელოებით?**
- **რამდენად მნიშვნელოვანი და დროულია თქვენთვის, თქვენი საკვირაო სკოლის ფუნქციონირებისთვის, საკვირაო სკოლის მოსწავლეებისათვის „ერთიანი სასწავლო პროგრამის“ მიხედვით მომზადებული სახელმძღვანელოები?**

ISSN 1512-1801

- **იქცა თუ არა თქვენთვის, საკვირაო სკოლის მესვეურთათვის, „ერთიანი სასწავლო პროგრამის“ მიხედვით მომზადებული სახელმძღვანელოები სტიმულის მომცემად სამომავლო საქმიანობის წარმართვაში?**

გამოხმაურებების მიხედვით, გამოიკვეთა აქტიური და პასიური სკოლები:

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- დიდი ბრიტანეთი, ლონდონი – ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი
- საბერძნეთი, ათენი – დარეჯან ღამბაშიძე
- საბერძნეთი, თესალონიკი – ზაზა სულამანიძე (ახლა ყალიბდება)
- საფრანგეთი, პარიზი – ეკა ბოდოკია
- ესპანეთი, მადრიდი – მამა პიროსი (გიცირიძე), თამარ მეტრეველი-ჩადუნელი (ახლა ყალიბდება)
- ჰოლანდია, ჰააგა – ნატალია ღვინერია (ახლა ყალიბდება)
- და სხვ.

საკითხის ზოგადი ანალიზი ასეთია:

საკვირაო სკოლების ხელმძღვანელები მიესალმებიან „ერთიანი სასწავლო პროგრამით“ მომზადებულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც მათთვის სასწავლო პროცესის წარმართვაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მათი თქმით, ამ პროექტმა საკვირაო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები უფრო მოტივირებულნი გახადა, გაიზარდა საკითხისადმი პასუხისმგებლობა; რიგ შემთხვევებში, დიასპორული ორგანიზაციები წაახალისა შეექმნათ ახალი საკვირაო სკოლები (ასეთი ოთხი ფაქტი დაფიქსირდა – ჰოლანდია, კანადა, ესპანეთი, საბერძნეთი).

სახელმძღვანელოები ძირითად ლიტერატურად განიხილება, თუმცა ზოგიერთ სკოლაში ძველი გამოცემების პარალელურად, დამხმარე ლიტერატურად გამოიყენება (ჰოლანდია). ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი უკავშირდება სახელმძღვანელოს შეცვლის პროცესს, რომელიც ნელ-ნელა, „უმტკივნეულოდ“ მიმდინარეობს.

მასწავლებლები აღნიშნული სახელმძღვანელოების პროფესიულ დონეზე მომზადებას დადებითად აფასებენ და „ერთიანი სასწავლო პროგრამისთვის“ გასათვალისწინებლად მიაჩნიათ სხვადასხვა ქვეყნის სპეციფიკა, ასაკობრივი ჯგუფები, მოსწავლეთა უნარები, პედგოგთა კვალიფიკაცია. მიაჩნიათ, რომ სახელმძღვანელოები ბავშვებისათვის, ასთვისების თვალსაზრისით, მარტივია; ხოლო საქართველოდან ახლად ჩასული მოსწავლეების შემთხვევაში, სასწავლო მასალების შინაარსობრივი გართულება ხდება. საკვირაო სკოლების პედაგოგები განსაკუთრებით აღნიშნავენ მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვნელოს, რომელმაც მათი მუშაობა გეგმიური და შედეგზე ორიენტირებული გახადა.

სახელმძღვანელოების ელექტრონულად არსებობას, რიგ შემთხვებში, ჰყავს მომხრე, თუმცა მათთვის მნიშვნელოვანია ლიტერატურა დაბეჭდილი სახით მიიღონ, მით უმეტეს, რომ აღნიშნავენ დაბალ სოციალურ მდგომარეობასა და ინტერნეტით სარგებლობის პრობლემას.

საკვირაო სკოლების ხელმძღვანელებისაგან ხშირია კითხვა:

- **ელექტრონული სახელმძღვანელოები ბეჭდური სახითაც იარსებებს?**

ISSN 1512-1801

- **ელექტრონული სახელმძღვანელოების პარალელურად, ამ სახით სასკოლო თვალსაჩინოებებიც თუ მომზადდება?**
- **საკვირაო სკოლის მოსწავლეები თუ მიიღებენ პრეზიდენტის საჩუქარს ნეტ–ბუკებს?**
- **იქმნება თუ არა საჭიროება ქართული საკვირაო სკოლების რეგისტრაცია მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში?**
- **პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში იქნება თუ არა საჭირო მოსწავლეთა სერტიფიცირება და რა ფორმით?**
- **აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს თუ არა ასეთ შემთხვევას: შესაბამისი ასაკის ბავშვი ბრუნდება სამშობლოში და აგრძელებს საჯარო სკოლაში სწავლას...?**
- **რამდენად გაადვილებულია პედაგოგთა „სერტიფიცირების“, „ატესტაციის“ საკითხი?**

საკვირაო სკოლების ხელმძღვანელების სურვილია: ონლაინ რეჟიმში მოხდეს გასაუბრება მათთან სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით. პედაგოგთა გადამზადების პროგრამა ადგილსამყოფელ ქვეყნებში განხორციელდეს, რადგან არსებობს უსაბუთობის პრობლემა.
ქართული საკვირაო სკოლები პროექტის ინიციატივაში და მის წარმართვაში საკუთარ წვლილს ხედავენ და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ამ ასპექტს მიესალმებიან. აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლებში ახალი სახელმძღვანელოები აპრობაციას გადის და სკოლის მესვეურები კვლავ ინერაქტიულ რეჟიმში რჩებიან.

მნიშვნელოვანია, რომ დიასპორის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა, ამ თვალსაზრისით შეუქცევადი პროცესი და დაბრუნებული ბავშვებისთვის საკვირაო სკოლების გახსნის თემა შემოგვთავაზეს. საქართველოში დაბრუნებული ბავშვებისთვის მომზადებულ საკვირაო სკოლაში მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება უკეთ აითვისონ სასკოლო პროგრამა, გაეწევათ ფსიქოლოგოგიური დახმარება, რათა ბავშვებისთვის ადაპტაციის პერიოდი უმტკივნეულოდ წარიმართოს, ასევე, ქართულად მეტყველების პრობლემები დაიძლიოს.

სახელმწიფო პროგრამის განვითარების მიზნით, გრძელდება მუშაობა საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების ერთიან სასწავლო სივრცეში ჩართვის მიზნით; სამომავლოდ განიხილება საკვირაო სკოლების პედაგოგებისთვის პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება, ასევე საკვირაო სკოლის ხელმძღვანელების მონაწილეობით ფორუმის გამართვა და სხვ. ეროვნული საქმისთვის სასარგებლო ინიციატივა.

Article received: 2011-12-23